საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 791/01
31/01/2022

791-01-2-202201311549

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას"

მის: ჭავჭავაძის გამზირი №34, სართ. 6

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 იანვრის №224 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის N134-ში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია 3 რეზერვუარი, რომელთაგან 2 ერთეული (№1 - 31 მ^3 და №2 - 9 მ^3) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო 1 ერთეული (№3 – 23 მ^3) - დიზელის საწვავისთვის. ამასთან, დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება საწვავის ავზების დამატება, რომლის შემდგომაც, ავტოგასამართ სადგურზე ჯამურად იფუნქციონირებს 5 რეზერვუარი, რომელთაგან 3 ერთეული (№1 - 10 მ^3, №2 - 10 მ^3 და №3 – 7.5 მ^3) განკუთვნილი იქნება ბენზინის საწვავისთვის, ხოლო 2 ერთეული (№4 – 7.4 მ^3 და №5 – 7.4 მ^3) - დიზელის საწვავისთვის. წარმოდგენილი დოკუმეტაციის თანახმად, საპროექტო რეზერვუარის დამატების შემდგომ, ხუთივე რეზერვუარის ჯამური მოცულობა იქნება 42.3 მ^3. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს ავტოგასამართ სადგურზე არსებული და საპროექტო რეზერვუარების შესახებ მონაცემები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე